საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ნავთლუღის ქუჩა #8-ში, #01.17.12.027.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სკოლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	01.12.2025

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
5. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
11. კიბეებისა და პანდუსების დეტალიზაცია;
12. მისაწვდომობის დეტალები.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება ---------- 7

შიგა გარემოს შეფასება ---------- 8

გარე კედლების შეფასება ---------- 9

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 10

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 11

ლიფტის შეფასება ---------- 12

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ნავთლუღის ქუჩა #8-ში, #01.17.12.027.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. გრგ-ს პროექტში წარმოდგენილია ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი კომპლექსის იდეით. იგეგმება 5 საცხოვრებელი კორპუსის, სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობა. წინამდებარე დასკვნის სამსჯელო საგანს კი წარმოადგენს სკოლის არქიტექტურული პროექტი.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი სწორია, უმნიშვნელო ქანობით. აღნიშნულის გათვალისწინებით დასაგეგმარებელი შენობისათვის მიწის დონის დადგენა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით არ განისაზღვრა სავალდებულოდ, მიწის დონედ მიჩნეულ იქნა რელიეფის ყველაზე დაბალი ნიშნული და წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად განისაზღვრა მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების რაოდენობა.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა II სართული (-9.90 ნიშნულზე) - ტექნიკური დანადგარებისათვის განკუთვნილი ფართი.
- მიწის დონის ქვედა I სართული (-7.20 ნიშნულზე) - საცურაო აუზი, გასახდელები, ინსტრუქტორის ოთახები, მრავალფუნქციური დარბაზი, საწყობი და დამხმარე ფართები.
- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - საკლასო ოთახები, ექიმის კაბინეტი, დაცვის ოთახი, დამხმარე და ტექნიკური ფართები.
- მიწის დონის ზედა II სართული (+3.60 ნიშნულზე) - საკლასო ოთახები, წინგნსაცავი, მანდატურის ოთახი, დამხმარე ოთახები.
- მიწის დონის ზედა III სართული (+7.20 ნიშნულზე) - საკლასო ოთახები, სასადილო და მისი მომსახურე სამზარეულო, სკოლის პერსონალისათვის განკუთვნილი ოთახები, დამხმარე და ტექნიკური ფართები.
- მიწის დონის ზედა IV სართული (+10.80 ნიშნულზე) - ადმინისტრაციული სივრცეები და დამხმარე ფართები.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი (გარდა -2 ტექნიკური სართულისა) მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის

მე-7 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია სულ მცირე 2 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-4 თავში.

საპროექტო შენობის ფასადები მოპირკეთდება ექსტრუდირებული ალუმინის პანელებით და HPL მასალით. ფასადებზე გამოყენებული იქნება მინის კარ-ფანჯარა ალუმინის მოჩარჩოებით. გარე კედლებთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ მე-9 თავში.

საპროექტო შენობას პერიმეტრზე გარს უვლის სახანძრო ტექნიკისათვის განკუთვნილი გზა. ასეთი გზის მოწყობასთან დაკავშირებული ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- <u>შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:</u>

  - **საგანმანათლებლო ჯგუფი სგ** (საკლასო ოთახები 0.00, +3.60 და +7.20 ნიშნულებზე, სასადილო +7.20 ნიშნულზე, მრავალფუნქციური ოთახი 0.00 ნიშნულზე; საკურაო აუზი, მრავალფუნქციური დარბაზი და გასახდელები -7.20 ნიშნულზე) - შეესაბამება 305 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა ან ნაგებობა ან მათი ნაწილი, რომელიც ნებისმიერ დროს გამოიყენება ექვსი ან მეტი ადამიანის განათლების მიზნით, 12 კლასის ჩათვლით.
  <u>*შენიშვნა: სგ ჯგუფის დაკავებულობასთან დაკავშირებული თავშეყრის მიზნით გამოყენებული ოთახები და სივრცეები (ისეთი როგორიცაა მრავალფუნქციური დარბაზი, სასადილო და გასახდელები) დაკლასიფიცირებულია სგ ჯგუფად, თანახმად 303.1.3 ქვეთავისა, რომლის მიხედვითაც სგ ჯგუფის დაკავებულობასთან დაკავშირებული თავშეყრის მიზნით გამოყენებული ოთახი ან სივრცე არ ითვლება ცალკე დაკავებულობად.*</u>

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული სივრცეები -7.20, 0.00, +3.60, +7.20 და +10.80 ნიშნულებზე; სამზარეულო +7.20 ნიშნულზე) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (ინვენტარის საწყობი -7.20, 0.00, +3.60 და +7.20 ნიშნულებზე; წიგნსაცავი +3.60 ნიშნულზე; დამლაგებლის ოთახი -7.20, 0.00, +3.60, +7.20 და +10.65 ნიშნულებზე)- შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობად გამოყენებული სივრცე, სადაც ინახება საშუალო საფრთხის შემცველი ინვენტარი.

- **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (ტექნიკური სივრცეები -9.90, 0.00 და +10.65 ნიშნულებზე) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის წარმოების მიზნით გამოყენებული სივრცეები.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

<u>შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ფაქტორები:</u>

- საკლასო ოთახები ---------- 1,9 სუფთა;
- ბიბლიოთეკის წიგნების საცავი ---------- 9.3 მთლიანი;
- საკურაო აუზი, მრავალფუნქციური დარბაზი და გასახდელები ---------- 4.7 მთლიანი;
- საკურაო აუზის ბაქანი ---------- 1.4 მთლიანი.
- სასადილო ---------- 1.4 სუფთა;
- სამზარეულო ---------- 18.6 მთლიანი
- ადმინისტრაციული სივრცეები ---------- 9.3 მთლიანი
- დამხმარე-სასანყობე სივრცეები ----------46.5 მთლიანი;
- ტექნიკური ოთახები ---------- 27,9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობა 6 (ექვს) სართულიანია, 4 (ოთხი) მიწის დონის ზედა და 2 (ორი) მიწის დონის ქვედა სართულებით.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან უტოლდება 16.25 მეტრს.

- შენობაში სხვადასხვა სართულზე გადანაწილებულია სხვადასხვა ტიპის დაკავებულობის ჯგუფები, მათი ფართობები კი შესაბამისობაშია 503 ცხრილის მოთხოვნებათან.

- ყოველივე ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის (I-B) მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-B)**, შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. IB ტიპის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხისადმი მოთხოვნები განსაზღვრულია 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, <u>რომელიც უნდა დაზუსტდეს და გათვალისწინებულ იქნას კონსტრქუციულ პროექტში 721 ან 722 ქვეთავების მიხედვით.</u>

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი არქიტექტურული პროექტის მიხედვით შეესაბამება 601 ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული უნდა იყოს 721 ქვეთავის მიხედვით (რომელიც გათვალისწინებულ და დაცულ უნდა იქნას კონსტრქუციული პროექტით):

  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2სთ.
  გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.
  იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.
  სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის მოთხოვნებს, გარე არამზიდი კელების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 1 საათით 12-3 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე და დანარჩენ პერიმეტრზე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნიდან გამომდინარე.

4 | ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ღიობების შვეულად გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის გარე კედლებით, რაც შეესაბამება 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- ვინაიდან კედლები მთავრდება 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე სახურავის ანაწყობთან დასაშვებია შენობის სახურავი არ იყოს დაცული 705.11 ქვეთავის შესაბამისი პარაპეტით, თანახმად ამავე ქვეთავის მე-3 გამონაკლისისა.
- შახტების გამმიჯნავი ცეცხლმედეგ ზღუდეების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას, ხოლო გზა-კიბეების მომსახურე კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, თანახმად 716.5 ცხრილისა.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების გარე კედლების მიმართ დაცულია 1022.7 ქვეთავის მოთხოვნა.
- გარე გასასავლელის გზა-კიბე შენობის შიგა სივრცისაგან გამიჯნულია 1026.6 ქვეთავის შესაბამისად.
- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.
- ლიფტის შახტის შემომზღუდავი ცეცხლმედეგი ზღუდეების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, ხოლო ლიფტის კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი

განსაზღვრულია 90 წუთით. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 713.4 და 713.7 ქვეთავების მოთხოვნას.

- დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 508.4 ცხრილის მოთხოვნათა დაცვით.
- ამასთანავე, შენობის თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ურთიერთდამოუკიდებელ ფართებად და ასეთი ცეცხლისაგან დაცული ფართობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა დაცვით.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შეუღი ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თანახმად 1018.1 ცხრილისა, დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 1 საათით.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

5 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- საპროექტო შენობაში განთავსებულია ხანძრისაგან დაცული რამოდენიმე ფართობი (თითოეული სართული ცალკეულად დაკლასიფიცირებულია ხანძრისაგან დაცულ ფართობად 707.3.10 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით). თითოეული ხანძრისაგან დაცული სივრცის ფართი არ ცდება 1200 კვ.მ.-ს, შესაბამისად ასეთ ფართობებზე არ ვლინდება ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის ვალდებულება, რაც შეესაბამება 903.2.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- 903.2.3 ქვეთავის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მიწის დონის ქვედა სართულები უნდა აღიჭურვოს ავტოსასეფი სისტემით, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია. -9.90 და -7.20 ნიშნულებზე განთავსებული სართულები სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

- რაც შეეხება ავტოსაშხეფი სისტემის მომსახურე სახანძრო ტუმბოს და წყლის ავზს, ისევე როგორც მათთან დაკავშირებულ სახანძრო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელ მისაერთებელს, ასეთი ტექნიკური დანადგარები/მოწყობილობები განთავსებულია A და B ბლოკების საზღვრებში და აღნიშნული შენობიდან იქნება უზრუნველყოფილი სკოლის შენობის ავტოსაშხეფი სისტემის მომსახურება. მსგავსი ტიპის გადაწყვეტა უნდა შეფასდეს და შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე განსათავსებელი ჰიდრანტებიდან სკოლამდე სავალი მანძილი არაუმეტეს 200 მეტრია. სკოლის შენობასთან მიმართებაში ჰიდრანტის განთავსების არეალი შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

- ზემოაღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იყოს საინჟინრო დოკუმენტაციით. ავტოსაშხეფი სისტემა უნდა მოეწყოს NFPA 13-ის მოთხოვნების დაცვით. სახანძრო ტუმბოები, სამართავი და მაკონტროლებელი მოწყობილობები, დაცული და ტესტირებული უნდა იყოს NFPA 20-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია მთელ შენობაში.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

  თანახმად 905.4 ქვეთავისა:

  - გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს

შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, I კლასის სახანძრო მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების საზღვრებში შუალედურ ბაქნებზე. I კლასის მილდგარების განთავსების არეალები სავალდებულოდ უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია თითოეული სართულის დონეზე, გზა-კიბეების სივრცის მიღმა, საერთო სარგებლობის დერეფნებში. II კლასის მილდგარების განთავსების არეალები სავალდებულოდ უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი რეაგირებისთვის.

სახანძრო მილდგარები უნდა მოეწყოს NFPA 14 ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია მთელ შენობაში, თითოეული სართულის დონეზე, სახანძრო მილდგარების კარადებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას. ხელის ცეცხლმაქრები მოეწყოს NFPA 10_ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- თანახმად 907.2.3 ქვეთავისა, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც გამოსცემს დამკავებელთა შეტყობინების სიგნალს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით უნდა მოეწყოს სგ ჯგუფის დაკავებულობებში. აღნიშნული მოთხოვნა დაცულია. სკოლის შენობის თითოეული სართული აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით.

  აქვე გასათვალისწინებელია, რომ სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს საევაკუაციო გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატებოდეს. შვეულად გაზომვისას, იატაკის დონიდან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების გასააქტიურებელ სახელურამდე ან ბერკეტამდე, არანაკლებ, 1,0 მ და, არაუმეტეს, 1,4 მ უნდა იყოს.

  გასათვალისწინებელია, რომ საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა უნდა დაგეგმარდეს და მოეწყოს NFPA 72-ის შესაბამისად. ცეცხლის ავტომატური ნებისმიერი აღმომჩენის, კვამლაღმომჩენების, საშხეფის წყლის ჭავლის მარეგულირებელი მოწყობილობის ან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფის ამუშავებისას ავტომატურად უნდა გამოიცეს სიგნალი, რომელსაც მოჰყვება ხმოვანი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საერთო ან ეტაპობრივი ევაკუაცია. რუპორები უნდა განთავსდეს მთელ შენობაში რადიოგამოძახების ზონების მიხედვით. რადიოგამოძახების ზონები უნდა მოეწყოს, სულ მცირე, ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში: 1. ლიფტთან; 2. გასასვლელის გზა-კიბეებზე; 3. ყოველ იატაკზე/სართულზე; 4. შშმ პირთათვის განკუთვნილ თავშესაფრის ფართობებზე. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემას, ასევე, უნდა შეეძლოს პირდაპირი ხმოვანი შეტყობინებების გადაცემა რადიოგამოძახების ზონების საშუალებით შერჩევითი ან

საყოველთაო გამოძახების საფუძველზე. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემებს უნდა ჰქონდეს აღიარებული საავარიო ელექტრომომარაგების წყარო.

- მთელი შენობა აღჭურვილია კვამლაღმომჩენებით, რაც შეესაბამება 907 ქვეთავით დადგენილ მოთხოვნებს.

- საერთო და საჯარო გამოყენების ფართობები უზრუნველყოფილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობებით, თანახმად 907.5.2.3.1 ქვეთავისა.

- საავარიო განათება უზრუნველყოფილია გასასვლელის ყველა კომპონენტის საზღვრებში.

- გასათვალისწინებელია, რომ დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელის კომპონენტები: დერეფნები, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, გასსავლელის კარის ანაწყობები. სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემა დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს, არანაკლებ, 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისგან, თანახმად 1006.3 ქვეთავისა.

<u>სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად. ელექტროგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს NFPA 70-ისა და NFPA 72-ის მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.</u>

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- საპროექტო შენობას ემსახურება სამი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელთაგან #1 კიბე ბუნებრივად განიავებადია.
  რაც შეეხება #2 და #3 კიბის უჯრედებს, ისინი აღჭურვილია დაწნევის სისტემით. დაწნევის სისტემის მომსახურე დანადგარები განთავსებულია თითოეული შახტის სახურავზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ წესების მიხედვით შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე უნდა შეიქმნას სულ მცირე, 25 პა და, არაუმეტეს, 87 პა წნევა გზა-კიბის ყველა კარის დახურვისას,

მაქსიმალური თვითწევისა და ქარის გავლენის პირობებში. გზა-კიბეების დაწნევის სისტემა სრულად უნდა პასუხობდეს 909.20.5 და 909.20.6 ქვეთავების მოთხოვნას, რაც საგალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას.

- დაწნევის სისტემის ვალდებულება გამოვლინდა შენობაში განთავსებული ლიფტის შახტისათვის, რაც დაკმაყოფილებულია. ლიფტის შახტის დაწნევის სისტემა სრულად უნდა პასუხობდეს 909.21 ქვეთავის მოთხოვნას, რაც საგალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას.

- შენობის თითოეული სართული უზრუნველყოფილია კვამლსაწინაარმდეგო ვენტილაციით. კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

- აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1203.1 ქვეთავის მიხედვით, შენობებს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განიავება ან შესაბამისი მექანიკური განიავება. თანახმად 1203.4.2.1 ქვეთავისა, აბაზანების, საშხაპეების და მსგავსი სააბაზანო მოწყობილობების შემკველი ოთახები მექანიკურად უნდა ნიავდებოდეს. სკოლის შენობა სრულად უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით. მექანიკური განიავების საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კვამლის საკონსტროლო სისტემები უნდა მოეწყოს წესების 909 ქვეთავის მოთხოვნების სრული დაცვით და იმ სტანდარტების მიხედვით, რომელიც გაწერილია 909 ქვეთავში (ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება). კვამლის საკონტროლო სისტემების საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:

- 915 ქვეთავის მიზნებისათვის გამოვლინდა შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე, რომელიც განისაზღვრება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობასთან

მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან შენობის ყველაზე მაღლა მდებარე იატაკის ნიშნულამდე. ასეთი სიმაღლე აღემატება 10,0 მეტრს, შესაბამისად საპროექტო ობიექტზე მოქმედებს 915.13 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის თანახმად სგ ჯგუფის შენობებისათვის სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზა უნდა მოეწყოს ყველა მხრიდან. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით გარკვეულწილად დაკმაყოფილებულია, სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზა უზრუნველყოფია შენობის 1-12 ღერძების გასწვრივ, დანარჩენი ფასადები კი ღიობების გარეშეა ფაქტობრივად საკადასტრო საზღვრების გასწვრივ, სადაც სახანძრო ტექნიკით მიდგომა აზრს მოკლებულია.

- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის სიგანე უტოლდება 6,0 მეტრს, რაც შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნას. ასეთ გზებზე თავისუფალი და ჩაუხერგავი შვეული სიმაღლე შეუზღუდავია. გზების მოხვევის შიგა რადიუსები უტოლდება 6,0 მეტრს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა, შენობის შესასვლელებიდან არაა განთავსებული 15 მეტრზე მეტი დაშორებულობით, რაც შესაბამისობაშია 915.7 ქვეთავთან.

- სახანძრო ავტოკიბეების და ავტოამწეების დგომის დახრა არ აღემატება 10%-ს, რაც შეესაბამება 915.16 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე სახანძრო ტექნიკის გადასაადგილებელ გზებზე ჩიხური მონაკვეთები არ წარმოიქმნება. სახანძრო ტექნიკის სავალი გზა მიწის ნაკვეთის შესასვლელიდან გასასვლელამდე უწყვეტია.

- ამას გარდა აღსანიშნავია, რომ საგამნამათლებლო ჯგუფის დაკავებულობების თითოეული დამკავებელი (ჯამურად 350 მოსწავლე) უზრუნველყოფილია სულ მცირე, 0,56 მ2 ფართობის უსაფრთხო ადგილით (ჯამური ფართობით - 225 კვ.მ.) შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის. მანძილი ამგვარ უსაფრთხო ადგილსა და იმ შენობას შორის, რომელსაც ისინი ემსახურებიან აღემატება 15 მ-ს.

- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზების საპროექტო გადაწყვეტით განხორციელებული დაგეგმარების პრინციპი უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

6 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა გამოთვლილია 1021.2 და 1021.2.4 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ:
  - +10.80 ნიშნულზე გასასვლელების რაოდებობა გამოთვლილია სართულის ჯამური დაკავებულობის შესაბამისად (ჯგუფი სქ, სმ-1 და სწ-1). იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით.
  - +3.60 და +7.20 ნიშნულებზე განთავსებულ სართულებზე, სგ, სქ და სწ-1 ჯგუფებად დაკლასიფიცირებული სივრცეების დაკავებულობის ჯამური რაოდენობა არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად მითითებულ სართულებსაც მოეთხოვება ორი გასასვლელი, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია, კერძოდ: +7.20 ნიშნულისთვის გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, ხოლო +3.60 ნიშნულზე განთავსებულ სართულისთვის ერთი შიგა და ერთი გარე გასასვლელის გზა-კიბე.
  - 0.00 ნიშნულზე განთავსებული სართული წარმოადგენს შენობიდან გამოსასვლელ ძირითად დონეს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ დონეზე სგ, სქ, სწ-1 და სმ-1 ჯგუფების დაკავებულობის ჯამური მონაცემი და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი არ შეესაბამება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს, თუმცა დაკავებულობის დატვირთვის ჯამი არ არის 500 დამკავებელზე მეტი, სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია სამი გზა-კარის და ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით.
  - -7.20 ნიშნულზე განთავსებული სართულზე გათვალისწინებულია სგ, სქ და სწ-1 დაკავებულობები. იმის გათვალისწინებით რომ სართულის ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ არის 500 დამკავებელზე მეტი, სართულს ესაჭიროება ორი

გასასვლელი, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით.

- რაც შეეხება -9.90 ნიშნულზე განთავსებულ ტექნიკურ სართულს, იმის გათვალისწინებით რომ სართული განთავსებულია მიწის დონის ქვედა მე-2 სართულზე, აღნიშნული დონისთვის საჭიროა ორი გასასვლელის მოწყობა, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით.

- სართულების მომსახურე გზა-კიბეები ერთმანეთისაგან დაშორებულია 1015.2.1 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობის მომსახურე თითოეული შიგა გასასვლელის გზა-კიბე, მიწისპირა სართულის დონეზე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, თანახმად 1022.1 ქვეთავისა.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, თანახმად 1022.2 ქვეთავისა, ამას გარდა შიგა გასასვლელის გზა-კიბეებში მოეწყობა მხოლოდ 1022.5 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია ასახულია არქიტექტურულ პროექტში და რაც სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში.

- გარე გასასვლელის გზა-კიბე შეესაბამება 1026 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 ცხრილის მოთხოვნა, კერძოდ იმ სივრცეებში სადაც სგ, სქ და სმ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 49 დამკავებელს, ხოლო სწ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 29 დამკავებელს, მოწყობილია ერთი გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომი გზა-კარი;

- ყველა იმ სივრცეში რომელთა დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 1015.1 ცხრილის მოთხოვნებს ან საერთო სავალი ბილიკი აღემატება 1014.3 ცხრილში განსაზღვრულ მონაცემებს, გათვალისინებულია ორი კარის ღიობი. ყველა ასეთ სივრცეში ორ გასასვლელ კარს შორის დაცულია სივრცის მაქსიმალური დიაგონალის ½-ზე მეტი მანძილი, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვთავის „2“ გამონაკლისის მოთხოვნას.

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე

(1.10 მეტრის სახით), რაც ასევე ნაკლებია 1007.3 ქვეთვით განსაზღვრულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად მისაწვდომი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უნდა იყოს სულ მცირე 1.20 მეტრი. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1.25 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.80 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნების თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.80 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- დერეფნის ჩიხური მონაკვეთები აკმაყოფილებს 1018.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ დერეფნებში ჩიხების სიგრძე არ აღემატება 15 მეტრს.

- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა. ასევე დაკმაყოფილებულია საფეხურების ნაშვერების ზომა და მათი ერთგვაროვნება, რაც შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გზა-კიბეების სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- +14.25 ნიშნულზე განთავსებულ სახურავზე მიდგომა ხდება მონაცვლესაფეხურებიანი კიბის და ლიუკის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა. რაც შეეხება +10.65 ნიშნულებზე განთავსებულ არაექსპლუატირებად სახურავს, აღნიშნულტან მიდგომა ხორციელდება დერეფნიდან გზა-კარის სახით.

- მონაცვლესაფეხურებიანი კიბე აკმაყოფილებს 1009.13.2 ქვეთავის მოთხოვნას. სახურავის ლიუკი შეესაბამება 1009.16.1 ქვეთავის გამონაკლისისა და 1009.16.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, თითოეულ სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- საერთო სავალი ბილიკები აკმაყოფილებს 1014 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- შენობიდან გარე სივრცეში გამავალი ყველა კარი, კიბის უჯრედებში შემავალი ყველა კარი და სგ ჯგუფის მომსახურე იმ სივრცეების ყველა კარი რომელიც ემსახურება 50 ან მეტ დამკავებელს აღჭურვილია ანტიპანიკური კავეულით, თანახმად 1008.1.10 ქვეთავისა.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თავშეყრის მიზნით გამოყენებული სივრცეები, სადაც მდებარეობს მაგიდები და სკამები, დაკმაყოფილებულია 1028 ქვეთავის მოთხოვნები.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და

ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია „4-3“ და „12-11“ ღერძებში განთავსებული შიგა გასასვლელის გზა-კიბეების იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

- საგანმანათლებლო ჯგუფის თითოეული დამკავებელი (ჯამურად სკოლა გათვლილია 700 მოსწავლეზე, თუმცა სკოლაში გათვალისწინებულია ორი სმენა და თითო სმენაში ბავშვთა რაოდენობა უტოლდება 350-ს), უზრუნველყოფილია სულ მცირე 0.56 $მ^2$ ფართობის უსაფრთხო ადგილით. მანძილი ამგვარ უსაფრთხო ადგილსა და შენობას შორის არ არის 15 მეტრზე ნაკლები, თანახმად 423.1 ქვეთავისა.

7 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან შენობის თითოეულ მთავარ შესასვლელამდე და იქიდან თითოეულ დაკავებულ დონეზე, რაც პასუხობს 1104 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილად გამოყენებულია დახრილი სავალი ზედაპირები, არაუმეტეს 5%-იანი ქანობით და პანდუსები, არაუმეტეს 1/12 თანაფარდობით. თითოეული ასეთი კომპონენტი შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს (იხილეთ სტანდარტის შეფასება). რაც შეეხება შენობის შიგნით მისაწვდომ სვლაგეზს, აქაც უზრუნველყოფილია სავალი ზედაპირები, დახრის გარეშე, კართან სამანევრო სივრცეები და ყველა ის კომპონენტი, რომელიც დადგენილია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით.

- მისაწვდომ სვლაგეზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს. ტუალეტებთან დაკავშირებული დეტალური ანალიზი მოყვანილია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შეფასებაში. საერთო სარგებლობის სივრცეებში, განთავსებულია წყლის დასალევი მისაწვდომი მადრევნების რაოდენობა შეესაბამება 1109.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას. მისაწვდომი გზა-კიბეები შეესაბამება 1007.3 ქვეთავის მოთხოვნას, რომლის მიხედვით თითოეული გზა-კიბის მარშის სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1250 მმ-ს და თითოეულ გზა-კიბე მოიცავს 1007.6 ქვეთავის შესაბამის თავშესაფრის ფართობს. თავშესაფრის ფართობების ზომა შესაბამისობაშია 1007.6.1 ქვეთავის მოთხოვნასთან. თავშესაფრის ფართობები სხვა სივრცეებისაგან არაა გამიჯნული კვამლგაუმტარი ზღუდეებით, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1007.6.2 ქვეთავის გამონაკლისით.

- +3.60 ნიშნულზე, გარე კიბის ბაქანზე გათვალისწინებულია სხვისი დახმარებით თავდაღწევისთვის განკუთვნილი გარე ფართობი, თანახმად 1007.7 ქვეთავისა.

- თავშესაფრის ფართობებზე მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.

- თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“. ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.

- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშნები განთავსებულია 1022.9 ქვეთავის შესაბამისად.

- გასასვლელის მისაწვდომი ნიშანი განთავსებულია 1011.4 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა შესაბამის არეალში.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, მისაწვდომ გასასვლელებთან, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს. ასეთ ნიშნებთან დაკავშირებული დეტალური მოთხოვნები გაწერილია მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებში.

8 შიგა გარემოს შეფასება:

- შენობაში განთავსებული საკლასო ოთახები და +7.20 ნიშნულზე განთავსებული სასადილო, სამასწავლებლო და სამზარეულო ნიავდება ბუნებრივად. რაც შეეხება სხვა სივრცეებს, ყველა დანარჩენი სივრცე ნიავდება მექანიკურად, თანახმად 1203.1 ქვეთავისა.

- ტუალეტის ოთახები და საშხაპეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გასასვლელ გზა-კიბეებში, თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე,). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- არცერთი დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს. რაც შეეხება -9.90 ნიშნულზე განთავსებულ ტექნიკურ სივრცეს, აღნიშნულის სიმაღლე მცირდება რიგელების არეალში, თუმცა სივრცის ფუნქციიდან და გამოყენების კლასიფიკაციიდან გამომდინარე, აღნიშნული დასაშვებად მიგვაჩნია.

- საზოგადოებისა და თანამშრომლების გამოსაყენებელ, ერთზე მეტ ადგილიან ტუალეტებში უნიტაზები განთავსებულია ცალკე ნაკვეთურებში, რაც აკმაყოფილებს 1210.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

9 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. დასავეგმარებელი შენობის გარე კედლები ნაწილი წარმოადგენს იტონგის ბლოკის ანაწყობს (სისქით 20 სმ), ხოლო ნაწილი წარმოადგენს რკინაბეტონის კედლებს (სისქით 25 სმ) შესაბამისად მათზე 1405.4, 1404.2 და 1405.3 ქვეთავების მოთხოვნები არ ვრცელდება.

